# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
# დადგენილება №01-06-02/41

ქ. თბილისი

27 ივლისი 2023

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის №8 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 ივლისის №01-05-04/119 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 27 ივლისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულების:

ა) მე-9 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-10 მუხლის:

ბ.ა) მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე სასწავლო დარგში და სამეცნიერო და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, დეკანის წარდგინების საფუძველზე, დეკანის უფლებამოსილების ვადით.

7. დეკანის მოადგილეების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება დეკანის ბრძანებით თუ მოქმედი კანონმდებლობით ან უნივერსიტეტის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.“;

ბ.ბ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. დეკანის მოადგილე სამეცნიერო და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში უზრუნველყოფს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარებას, კვლევითი პროექტების განხორციელების ორგანიზებას.“;

გ) დებულების მე-4 თავი ამოღებულ იქნეს.

დ) 22-ე მუხლის:

დ.ა) პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიები.“;

დ.ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ბაკალავრიატის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების (საკვალიფიკაციო) კომისია იქმნება საფაკულტეტო ბრძანებით, მაგისტრატურის საგამოცდო კომისიები ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით - რექტორის ბრძანებით, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიები კი - საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ბრძანებით. მათი საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.“

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**

**სპიკერი, პროფესორი** **ჯემალ გახოკიძე**